№ 86 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. სამშაბათი, 20 აპრილი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. ,,საქ. რესპ.'' 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

სამშაბათს, აპრილის 20-ს, რისის ბენეფისი და მე-5 გასტროლი Michel Darial ნანობაშვილის

### „აფრიკელი ქალი“

ოთხშაბათს, აპრილის 21-ს, ხოროს ბენეფისი სტაროსტინას მონაწილეობით ,,ლაკმე''. შაბათს, აპრილის 24-ს, ოპერა მუშებისთვის ,,სნეგუროჩკა''. სამშაბათს, აპრილის 27-ს, ფალიაშვილის ბენეფისი ,,აბესალომ და ეთერი''. ხუთშაბათს, აპრილის 29-ს, ალეშკოს ბენეფისი ,,ზაზა''. პარასკევს, აპრილის 30-ს, ორკესტრის ბენეფისი სტაროსტინას მონაწილეობით I. ,,რიგოლეტო''. II. ,,ქორწილი მოლოროსიაში''. შაბათს, მაისის 1-ს, ოპერა მუშებისთვის და საოპერო სეზონის დახურვა „ქეთო და კოტე“.

446

## კ ო ნ კ უ რ ს ი

**გორის და მის მიდამოებში მომხდარ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავრობის საგანგებო კომიტეტი**

აცხადებს კონკურსს სეისმომძლე საცხოვრებელ სახლების პროექტის შესადგენათ, ვაკესა და 30° დაღმართ ადგილებზე.

შ ე მ დ ე გ პ ი რ ო ბ ე ბ შ ი:

1) უნდა დამზადდეს პროექტი სოფლურ ორ ოთახიან სახლისა თავისი სამზარეულოთი; პირველი ოთახის სივრცე=4—5 ოთხკუთხი საჟ., მეორესი=7—8 ოთხკუთხი საჟ. მეორე ოთახის აგებულობა ნავარაუდევი უნდა იყოს ისე, რომ საჭიროებისამებრ, კაპიტალურ შუაკედლის გაუკეთებლად შეიძლებოდეს მისი ორ ოთახად გაყოფა, მეორე ოთახშივე უნდა მოეწყოს საწოლი ტახტები და კედლის განჯინები ჭურჭლეულობის, ტანისამოსის და ყოველ დღე სახმარებელ სანოვაგის შესანახად.

2) სახლზე მიშენებული უნდა იქმნეს: ვერანდა (ბალკონი), ერთი საჟ. სიგანისა, გრილი საკუჭნაო სურსათისათვის (ლობიო, ხახვი, ყველი და სხვა), რომლის სივრცე=2 კვ. საჟ. და ფეხის ადგილი, რომელიც თუმცა შეერთებული უნდა იყოს სახლთან, მაგრამ ჰიგიენიური მოსაზრებით არ უნდა იყოს მიდგმული მაზე ორგანიულად.

3) პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად დებულებებს:

ა) განზრახული შენობა უნდა იყოს სეისმომძლე.

ბ) განზრახული შენობა უნდა იყოს ეკონომიური. (მასალის დაზოგვით ნაშენი).

გ) განზრახული შენობა უნდა იყოს ჰიგიენური.

დ) განზრახული შენობა უნდა იყოს ცეცხლის მძლე.

ვ) განზრახული შენობა უნდა აკმაყოფილებდეს დაზარალებულ რაიონის ყოფაცხოვრების პირობებს.

3) შენობა უნდა წარმოადგენდეს ხელოვნებით ანასახს, რამდენადაც ასეთ მცირე და მარტივ მიზანს შეეფერება და შეფარდებული უნდა იყოს ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებისა და ეროვნულ თავისებურებასთან.

4) რადგანაც ადგილობრივ ბაზარზე არ მოიპოვება მრავალი სხვა და სვა საალმშენებელო მასალა, ამიტომ პროექტის შედგენის დროს მხედველობაში მისაღებია მხოლოდ შემდეგი მასალა:

ა) საძირკველისათვის-საფუძე-ქვა; დატეხილი რიყის ქვა, ბეტონი.

ბ) კედლისათვის—აგური, ქვა, დამუშავებული და დაუმუშავებელი ტყის მასალა, თიხა, ბეტონი.

გ) ჭერისათვის—დამუშავებული და დაუმუშავებელი ტყის მასალა.

დ) სახურავისათვის—რა მასალასაც ავტორი დაინახავს საჭიროდ, გარდა რკინისა, რომლის ხმარება არ არის სასურველი.

5) ადგილობრივ ბაზარზე უქონლობის გამო, რაც შეიძლება ნაკლებ უნდა იქმნეს ხმარებული შემდეგი მასალა: რკინა, დუღაბი (ცემენტი), ტყის დამუშავებული მასალა (გამონაკლისი—სახურვის ყავარი) კედლების ასაშენებლად არ შეიძლება ხმარება მთელი ხის ნამორების, თუნდაც დაუმუშავებელისა.

6) პროექტის წარმოსადგენი უკანასკნელი ვადა დანიშნულია მაისის ათი;

7) თავის გადაწყვეტილებას ჟიური გამოიტანს ერთი კვირის განმავლობაში დღიდან პროექტის წარდგენისა. პრემიის მისჯის წინ და მის შემდეგ ორი დღის განმავლობაში წარმოდგენილი პროექტი გამოფენილ იქნება საჯაროდ. გაცხადებანი ჟიურის გადაწყვეტილებაზე, თუ ასეთები იქნება, მიიღება ორი დღის განმავლობაში, რომლის შემდეგ შემოსული განცხადება განუხილავად იქნება დატოვებული.

ჟიურის გადაწყვეტილების შემდეგ, კომისიის უახლოეს საერთო სხდომაზე გაიხსნება სადევიზო პაკეტები და გამოქვეყნდება ავტორის ვინაობა.

8) ჟიური შესდგება შემდეგი 5 პირისაგან: ინჟ. ქურდიანი, ტერ-მიქელოვი, რიჩგორსკი—სავიჩი, წარმომადგენელი გორის ერობისა და მთავარ კომიტეტის. გარდა ამისა მოწვეულ იქნება მხატვართა და გეოლოგთა კომისიები დასკვნისათვის.

9) პროექტი უნდა წარმოდგენილ იქნეს ღიათ, რაიმე დევიზით, და დახურულ სადევიზო პაკეტით, რომელშიაც იქნება ნაჩვენები ავტორის ვინაობა და მისამართი.

10) ნახაზი მასშტაბი: 2 დიუმ.=საჟენს—შენობის გაჭრილობა და პირისათვის (фасад)=1 დიუმი საჟენს,—გეგმისათვის პროექტის აგებულობის წვრილმანები, რომელიც ნახავენ მის თავისებულებს (თანახმად მისი სეისმომძლეობის) დანიშნულებისა უნდა შესრულდეს გადიდებული მასშტაბით, თვით ავტორის შეხედულობით. პროექტების ნახაზის შესრულების წესი (ფანქარი, ტუში და სხვა) დამოკიდებულია ავტორის სურვილზე. პროექტს თან უნდა ახლდეს განმარტებითი ბარათი.

11) საუკეთესო პროექტებისათვის, რომელნიც დააკმაყოფილებენ კონკურსის პროგრამას, დანიშნულია ორი პრემია: 25000 მან., და 15000 მან. ამასთან ერთად საგანგებო კომიტეტი იტოვებს უფლებას წარმოდგენილ უპრემიო პროექტებიდანაც 10000 მანეთად შეისყიდოს ის პროექტი, რომელიც მას მოეწონება.

12) თვითეულმა კონკურენტმა უნდა წარმოადგინოს პროექტის ორი ვარიანტი ვაკისა და ფერდობებისთვის, პროექტის განხილვა შეიძლება აგრეთვე ცალცალკე და ჟიურის გადაწყვეტილებით. პრემია მიეცემა თვითეულ პროექტს ცალკე, საერთო და გადადებულ თანხიდან ჟიურის გადაწყვეტილების თანახმად.

13) პროექტი უნდა წარმოდგენილ იქმნეს ქალაქთა კავშირის სატეხნიკო განყოფილებაში (პუშკინის ქ. № 3).

კომიტეტის თავმჯდომარე **რ. არსენიძე.**

435 3—2

## შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

**მესხეთ-ჯავახეთისა და არტაანის უბნის გამომძიებელთა ინსტიტუტისა 1920 წ. თებერვლის 1-დან ივნისის 1-დე.**

| № № რიგზე. | თანამდებობის სახელწოდება და საგანი ხარჯისა. | რიცხვი. | თითეულს თვიურად | ყველას თვიურად | ყველას 1920 წლ. თებერვ. 1-დან ივნისის 1-მდე. |
|---|---|---|---|---|---|
| | **პირადი შემადგენლობა.** | | | | |
| 1 | გამომძიებელი *) . . . . . . . . . . . | 6 | 4000 | 24000 | 96000 |
| 2 | საქმის მწარმოებელი . . . . . . . . | 6 | 2200 | 13200 | 52800 |
| 3 | გზირი . . . . . . . . . . . . . | 6 | 1015 | 6090 | 24360 |
| 4 | საკანცელარიო ხარჯი . . . . . . . . | 6 | 500 | 3000 | 12000 |
| 5 | სამეურნეო ხარჯი (ბინების დაქირავება-გათბობა-განათებით) . . . . . . . . | 6 | 500 | 3000 | 12000 |
| 6 | საგზაო და დღიური ხარჯი . . . . . . | 6 | 3000 | 18000 | 72000 |
| 7 | ინვენტარის შეძენისათვის ერთდროულად **) | 5 | — | — | 150000 |
| | ს უ ლ . . . . | — | 11215 | 67290 | 419160 |

*) მესხეთში—2, ჯავახეთში—2, არტაანის—1 და ფოცხოვის—1. ამ გამომძიებელთათვის რეზიდენციის ადგილების მიჩენა ევალება სათანადო ოლქის სასამართლოს.

**) ვინაიდან ახალციხეში კამერა უკვე დაწესებულია, მხოლოდ 5 ახალი კამერის ინვენტარისათვის არის ხარჯი საჭირო.

1920 წ. აპრილის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## ოფიციალური განყოფილება

## კ ა ნ ო ნ ი.

**მესხეთ-ჯავახეთსა და არტაანის რაიონში სასამართლოს საგამომძიებლო ნაწილის შემოღებისა.**

1. საქართველოს ეროვნულ საბჭოს 1918 წ. სექტემბრის 10-ს კანონის დამატებად („კანონთა კრებული„ 1918 წ. კან. № 56) შემოღებულ იქნეს ამა 1920 თებერვლის 1-დან მესხეთ-ჯავახეთსა და არტაანის რაიონში საგამომძიებლო ნაწილი და მისი შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნულ შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გადადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებისათვის 1920 წლის თებერვლის 1-დან ივნისის 1-დე ოთხას ცხრამეტი ათას ას სამოცი (419.160) მან.

3. ამ დეკრეტით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 8.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომრის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომრის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## დ ე კ რ ე ტ ი.

**ქ. ქუთაისის სახაზინო რკინისგზის სადგურის გაფართოებისათვის მამულის შესაძენად 1.570.000 მან. გადადებისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან გზათა მინისტრის განკარგულებისათვის ერთი მილიონი ხუთას სამოცდა ათი ათასი (1.570.000) მანეთი ქ. ქუთაისის სახაზინო რკინისგზის სადგურის გაფართოებისათვის საჭირო მამულის შესაძენად და ამით გამოწვეული სხვა ხარჯის დასაფარავად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წლის აპრილის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## დ ე კ რ ე ტ ი

**მაზრებში გადაყვანილ მიწის მზომელთათვის ერთდროული დახმარების მიცემისა.**

1. ტფილისიდან და ქუთაისიდან სამაზრო ერობათა სამიჯნაო განყოფილებაში სამუშაოდ და მუდმივ საცხოვრებლად გასაგზავნ მიწისმზომელებს მიეცეთ ერთდროული დახმარება შემდეგი რაოდენობისა: ა) იმ პირთ, რომელთაც მოგზაურობა მოუხდებათ მხოლოდ რკინის გზით, მიეცეთ ერთდროული დახმარება ცოლშვილიანებს ერთი (1) თვის ჯამაგირისა, ხოლო უცოლშვილოთ—ნახევარი თვის ჯამაგირის რაოდენობისა; ბ) იმ პირთ, რომელთაც მოგზაურობა მოუხდებათ რკინის გზის გარდა შარა გზით, მიეცეთ: ცოლშვილიანებს ორი თვის ჯამაგირისა, ხოლო უცოლშვილოთ—თვენახევრის ჯამაგირის რაოდენობისა.

2) პირველ მუხლში აღნიშნულ საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებისათვის ას ორმოცდა ერთი ათას ას ოთხმოცდა შვიდი (141.187) მანეთი.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## დ ე კ რ ე ტ ი

**სახალხო გვარდიისათვის 1919-1920 წლის ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში 32.000.000 მან. გადადებისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის აპრილის და მაისის განმავლობაში სახალხო გვარდიის 1919-1920 წლის ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში ოცდა თორმეტი მილიონი (32.000.000) მანეთი სახალხო გვარდიის მიმდინარე ხარჯის დასაფარავად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## დ ე კ რ ე ტ ი

**ქართველთა შორის-წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობისათვის 5.000.000 მან. სესხის მიცემისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებისათვის ხუთი მილიონი (5.000.000) მანეთი სესხად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობისათვის წიგნების გამოსაცემად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხა წერა კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ უნდა აუნაზღაუროს სახელმწიფო ხაზინას 1920 წლის მაისის 1-დან სამი წლის განმავლობაში: პირველ ორს წელიწადში წლიურად ერთი მილიონი და ხუთასი ათასი (1.500.000) მანეთის და ხუთი (5) პროცენტის სარგებლის გადახდით, ხოლო მესამე წელიწადში—ორი მილიონი მანეთისა და ხუთი (5) პროცენტის სარგებლის გადახდით.

3. ეს სესხი უზრუნველყოფილია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთელი უძრავ-მოძრავი ქონებით.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

# დეკრეტი

**ტფილისის ფიზიკური ობსერვატორიისათვის დამატებით 495.635 მან. გადიდებისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებისათვის ოთხას ოთხმოცდა თხუთმეტი ათას ექვსას ოცდათხუთმეტი (495.635) მანეთი ტფილისის ფიზიკური ობსერვატორიის 1919—1920 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის დამატებად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 8.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი**

# დეკრეტი

**რესპუბლიკის უწყებათა საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯის დასაფარავად დამატებით 14.857,485 მან. გადიდებისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან რესპუბლიკის უწყებათა საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯის დასაფარავად დამატებით ამა 1920 წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-დე თოთხმეტი მილიონი რვაას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ოთხას ოცხმოცდახუთი (14.857,485) მანეთი შემდეგი განაწილებით: ა) მთავრობის საქმეთა მმართველობას—სამოცი ათასი (60,000) მანეთი; ბ) დამფუძნებელი კრების კანცელარიას ას ათი ათასი მანეთი; გ) შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი მილიონი (2.0000.00) მანეთი; დ) სახალხო განათლების სამინისტროს სამი მილიონი სამას ოთხმოცდა სამი ათას ცხრაასოცი (3.383,920) მანეთი; ე) გარეშე საქმეთა სამინისტროს—ოთხას ორმოცდა ათი ათასი (450,000) მანეთი, ე) იუსტიციის სამინისტროს—ორი მილიონი (2.000,000) მანეთი; ზ) ფინანსთა სამინისტროს—ორი მილიონი სამასიათას სამას სამოცდახუთი (2.300,365) მანეთი; თ) მიწათ-მოქმედების სამინისტროს—ორი მილიონი (2.000,000) მანეთი; კ) გზათა სამინისტროს—ორი მილიონი (2.000,000) მანეთი; ლ) შრომის სამინისტროს ორას სამოცდაორიათას ორასი (262,200) მანეთი და სახელმწიფო კონტროლს ორას ოთხმოცდათერთმეტიათასი (291,000) მანეთი.

2. დეკრეტი ესე ძალში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

**ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

**ევგ. გეგეჭკორი.**

# დეკრეტი

**ტანთვარჯიშობის საზოგადოების „შევარდენისათვის“ დახმარებად 150,000 მან. მიცემისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებისათვის ას ორმოცდა ათი ათასი (150,000) მანეთი ტანთვარჯიშობის საზოგადოების „შევარდენი“-ს უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

2, დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

# დეკრეტი

**დამფუძნებელი კრების წევრებისათვის რესპუბლიკის რკინის გზით უფასოდ მიმოსვლის უფლების მიცემისა.**

1. დამფუძნებელი კრების წევრთ მიეცეთ რესპუბლიკის რკინის გზის წლიური უფასო სახელობითი ბილეთი.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი

**ექვ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## არა ოფიციალური განყოფილება

# შინაგან საქმ. სამინისტროში

**ლტოლვილები.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობისაგან დეპეშა მიიღო, რომლითაც იუწყებიან, რომ 14 აპრილს ჩვენს საზღვარზედ ზაქათალის ოლქიდან—ალიაბადის მხრიდან გადმოსულან გამოქცეული სომხები, რიცხვით 170 კაცი. ერობის გამგეობის წევრებს, რომლებიც იმ დროს საზღვართან იმყოფებოდენ, მიუღიათ ზომები ლტოლვილთა დედოფლის წყაროში გადმოსაყვანათ და დროებით დასაბინავებლათ.

**ცნობილი ყაჩაღის შეპყრობა.**

შინაგან საქმთა სამინისტომ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო ახალქალაქის მაზრის კომისრისაგან:

„16 აპრილს ღამის 12 საათზე სამი საათის სროლის შემდეგ სომხეთის საზღვარზე კარაზახის საზოგადოების კომისარ ჩხეიძის მეთაურობით შეპყრობილ იქმნენ 5 განთქმული ყაჩაღთაგანი თავიანთ ნადავლით. მათ შორის არის სულეიმან ბეგი. სათანადო გამოძიება სწარმოებს“.

**მკვლელობა.**

დეკანოზი კარბელაშვილი იუწყება გურჯაანიდან, რომ ზაქათალაში გაგზავნილი ივანე კარბელაშვილი მოუკლავთ სადგ. წნორთან ბოროტგანმზრახველებს და თხოულობს განკარგულებას წნორიდან გურჯაანამდის ცალკე ვაგონის დათმობის და დასასაფლავებელ ხარჯების გადაგზავნის შესახებ.

**სტატისტიკური ბიბლიოთეკა.**

მთავრობის საქმეთა მართველობამ გადმოუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს დასკვნისათვის მოხსენება მიწათ-მოქმედების სამინისტროსი, ყოფილ ცენტრალურ სტატისტიკურ ბიბლიოთეკის, რომელიც ამ ჟამად იმყოფება შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში, მიწათ-მოქმედების სამინისტროს ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტისათვის გადაცემის შესახებ, ვინაიდან ამ ბიბლიოთეკაში იმყოფება ისეთი გამოცემანი, რომელნიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ ამ სამინისტროსათვის.

შინაგან საქმეთა სამინისტრო არ არის წინაალმდეგი გადაეცეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს სტატისტიკურ კომიტეტს მხოლოდ ის წიგნები, რომლებიც შეიცავენ სტატისტიკურ ცნობებს.

**2000000 მანეთი დუშეთის ერობისათვის.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსის მოხსენება წარუდგინა მთავრობას.

„დუშეთის მაზრა გასულ წელს ანარქიის გამო საგრძნობლათ დაზარალდა. ამის გამო მიწების დიდი ნაწილი დაუთესავი დარჩა და მცირე მოსავალმა მცხოვრებნი უკიდურეს გაჭივრებაში ჩაგდო. ერობის გამგეობა ცდილობს საქმის მოწესრიგებას, მაგრამ უსახსრობის გამო ვერაფერს ვერ აკეთებს. ამ ბოლო დროს მაზრაში კავკავიდან ლტოლვილების და მოხალისეთა ჯარის ნაწილების გამოვლამ უფრო გააუარესა.

დუშეთის მაზრას მეტი ყურადღება ესაჭიროება, რადგან, ზემოდ აღნიშნულის გარდა, მაზრა კულტურულად დაქვეითებულია და რესპუბლიკისათვის მავნებელ აგიტაციას მეტი გასავალი აქვს. თუ მთავრობა ერობას საშუალებას მისცემს მოაწესრიგოს მეურნეობა—იმ შემთხვევაში მაზრა მოღონიერდება და საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციასაც გასავალი არ ექნება.

მოგახსენებთ რა ზემოაღნიშნულს, მე საჭიროდ მიმაჩნია საჩქაროდ მიეცეს დუშეთის სამაზრო ერობას 2000000 მან. სესხად ერთი წლის ვადით ისე, როგორც მიეცა ამდენივე ახალციხის სამაზრო ერობას“.

# ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია.

**ტფილისი**, აპრილის 19. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მეორე კონფერენცის სხდომა. 10 აპრილი, 1920 წ. $11^1/_2$ საათი. დაესწრენ: ადერბეიჯანის რესპუბლიკიდან ხასან ბეგ-აგაევი, ოლგერდ-ბეი კრიჩინსკი, ფარის ბეგ ვექილოვი. სომხეთის რესპუბლიკიდან: ა. ი. ოგაჯანიანი, ს. ა. ხაჩატურიანი, ს. გ. მამიკონიანი, ტ. ა. ბეგზადიანი. საქართველოს რესპუბლიკიდან: საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი, სამხედრო მინისტრი გ. ს. ლორთქიფანიძე, საქართველოს წარმომადგენელი სომხეთში გ. ფ. მახარაძე.

კითხულობენ 9 აპრილის სხდომის ოქმს. წინადადება შედის დაავალონ პრეზიდიუმს, რომ 9 აპრილს ოქმი უფრო დეტალურად იქნეს შედგენილი. წინადადება მიღებულია. ირჩევენ პრეზიდიუმს 2 წევრისაგან, რესპუბლიკიდან თითო წარმომადგენელს. პრეზიდიუმი: აგაევი, გეგეჭკორი, მამიკონიანი. სდგება სეკრეტარიატი, თავმჯდომარეობს მამიკონიანი.

**აგაევი.** დელეგაციის დადგენილების აღსასრულებლად ჩვენ დიდი შრომა დაგვჭირდა ბაქოსთან მოსალაპარაკებლად. ტელეფონი წამხდარი იყო და დეპეშების გაგზავნა მოგვიხდა. საღამოს მივიღეთ პასუხი (კითხულობენ) ტფილისი. ადერბეიჯანის დელეგაციის თავმჯდომარე აგაევს. კონფერენციის მიერ აღძრული საკითხი განხილული იქნება ხვალ 10 აპრილს ზენიონ ერ კონვენტის მიერ. პასუხს ხვალ საღამოს მიიღებთ. საგარეო საქმეთა მინისტრი ხან-ხოისკი.

**ოგანჯანოვი.** ყოველი დიგვიანებული საათი საბედისწეროა. მე მოვალეობათ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ერთი დღის დაგვიანება ორივე ხალხისათვის დამღუპველია. მე ვფიქრობ, რომ პასუხი შეიძლება გადაწყვეტილიყო დაუყონებლივ მთავრობის ძალა უფლებით. ეს ხომ არ არის კანონმდებლობითი აქტი. ეს დაგვიანება მე მიმაჩნია დაჩქარების მოუნდომლობით. სომხეთის დელეგაციის სახელით მე ამის გამო პროტესტს ვაცხადებ და გთხოვთ ჩემი პროტესტი ოქმში შეიტანოთ.

**გეგეჭკორი.** ერთ ძირითად საკითხად მე ვსთვლი სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის საკითხს. ამის გადაუწყვეტლად ჩვენ შეუძლებლად ვსთვლით ამ მუშაობის წარმოებას, რადგანაც წინააღმდეგი გადაწყვეტილება ჩვენი კონფერესციის მნიშვნელობას გააქარწყლებს. რადგან ამ საკითხს არსებითად ვსთვლით ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია მოვუცადოთ ადერბეიჯანის მთავრობის გადაწყვეტილებას. საქართ. დელეგაციის სახელით მე შემომაქვს კონკრეტიული წინადადება, მოუცადოთ ადერბეიჯანის მთავრობის პასუხს და ეს სხდომა საღამომდის გადავსდოთ.

**აგაევი:** ადერბეიჯანის მთავრობა ყოველთვის სცდილობდა ამ გვარი შეჯახებანი მორიგების გზით დაესრულებიათ და ის ფაქტი, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ერთის დღით იდება, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ამ საკითხის განხილვის გაჭიანურების სურვილი. ტეხნიკურად შეუძლებელი იყო, რომ ეს უფრო ჩქარა მოგვეხერხებია. ადერბეიჯანის მთავრობამ საჭიროდ სცნო ყოველ მხრივ განეხილა ეს საკითხი და მისი გადაწყვეტილება. მე მხარს უჭერ ევგენი პეტრესძის წინადადებას, რომ მოვიცადოთ საღამომდე.

**მამიკონიანი.** თუ დადებითი პასუხი მივიღეთ, იქნება თუ არა მთავრობის მიერ განკარგულება გაცემული სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ?

**აგაევი.** ცხადია, თუ ჩვენ შესაფერ დადგენილებას გამოვიტანთ მას ყოველი მთავრობა შეასრულებს, რადგანაც აქ ყველა დაინტერესებული მხარეა წარმოდგენილი.

**გეგეჭკორი.** ეს უკვე კონფერენციის განსახილველი საგანი არ არის.

**მამიკონიანი.** წინადადებას იძლევა ეს საკითხი განიხილონ პირობითად, რათა დრო მოიგონ.

**ლორთქიფანიძე.** ჩემის აზრით ეს კონფერენციის ღირსებას სცემს. თვით ფაქტი, კონფერენციის მუშაობის შეჩერების ამტკიცებს დელეგაციის ერთსულოვან განწყობილებას და ჩვენ საერთო სურვილს, რომ ახლო ხანში მივიღოთ პასუხი.

**მახარაძე.** მე ვიძლევი წინადადებას ამ საკითხის განხილვას შეუდგეთ, მაგრამ ეხლა როდესაც კონფერენცია ჩაყენებულია იმ პირობებში, რომ შეუძლებელია ამ საკითხის განხილვა, შესაძლებელათ არ ვსთვლით ეხლა ამის განხილვას შეუდგეთ. სამწუხაროთ, ჩვენ იძულებული ვართ ეს პასუხის მიღებამდე გადავდოთ.

**ხაჩატურიანცი.** ნუ თუ ეს უფლება სადაო არის? ხომ ცხადია, რომ თუ ჩვენ შევიკრიბეთ, თუ ჩვენ კონფერენციას წარმოვადგენთ, ამით ჩვენ წინასწარ გადავწყვიტეთ საკითხი სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ. ეს საკითხი საერთოთ მთავრობის მსჯელობის საგნათ არ უნდა იყოს, ეს ასე მაქვს წარმოდგენილი. მე მინდა რომ ეს ჩემი განცხადება ოქმში შეტანილი იყოს.

**აგაევი.** ხანდისხან სრული რწმუნებულების არქონებას შეუძლია კარდინალური საკითხების გადაწყვეტის გადადება. ამ შემხვევაში ჩვენ გვაქვს რწმუნებულება უმთავრესათ კონფერენციის საკითხის შესახებ ვილაპარაკოთ.

ამიერ კავკასიის წარსულ კონფერენციაზე, რომლის გაგრძელებასაც ეს ჩვენი კონფერენცია წარმოადგენს, სომხეთის დელეგაციის მდგომარეობა ანოლოგიური იყო ჩვენ მდგომარეობისა. ეხლაც და მაშინ ტერიტორიალური საკითხის განხილვის დროს სომხეთის წარმომადგენლებს არ შეეძლოთ მასში მონაწილეობა მიეღოთ, რადგან თავისი მთავრობისაგან სათანადო რწმუნება არ ჰქონდათ.

**მამიკონიანი.** ძნელია კონფერენციის მუშაობა როდესაც სამხედრო მოქმედება სწარმოებს.

**ოგანჯანოვი.** ჩვენ სამწუხაროთ იძულებულნი ვართ სხდომა ამ საღამოსათვის გადავდოთ.

შემდეგი სხდომა საღამოს 9 საათისათვის ინიშნება. სხდომა იხურება $3^1/_2$ საათზე. თავმჯდომარე ს. მამიკონიანი.

# უცხოეთი

**ადერბეიჯანი.**

**ბაქოელი სომხები.**

ბაქოს გაზეთების კორრესპონდენტები იტყობინებიან, რომ სომეხთა მოსახლეობა ბაქოში ძალიან შევიწროვებულ მდგომარეობას განიცდიან. როგორც ბაქოში, ისე მის მახლობელ მიდამოებში სომეხთა დახოცვა ჩვეულებრივ მოვლენად გარდიქცა. ყოველ დღე სომხები ელიან თავდასხმას.

**ადერბეიჯანი და სპარსეთი.**

ადერბეიჯანის რესპუბლიკის პარლამენტის 15 აპრილის სხდომაზე მოხდა ადერბეიჯან და სპარსეთის ხელშეკრულების შემდეგი ნაწილების რატიფიკაცია: 1) მეგობრობის ხელშეკრულება, 2) ფოსტა-ტელეგრაფის კონვენცია, 3) სატრანზიტო და ვაჭრობის ხელშეკრულება და 4) საკონსულო ხელშეკრულება.

**კუბინსკის მაზრაში.**

კუბინსკის მაზრაში სამხედრო წესებია გამოცხადებული. სამხედრო გუბერნატორად ინიშნება ყაზახის გუბერნატორი ამირ-ხანხოელი.

**ადერბეიჯან-სომხეთის კონფლიქტი.**

ადერბეიჯან-სომხეთის კონფლიქტი არა სცხრება. სულ სხვა და სხვა ცნობები მოდის ყაზახის, ზანგე-ზურის და ნახიჩევანის მაზრიდან. მაგალითად ყაზახიდან იტყობინებიან, რომ იქ ადერბეიჯანელებს გადუწვიათ სომხების ქონება. აწიოკებულია სოფლები; გალაჩი, კოტგეხი, დოსალუ, დუეხი, გოშგოტანი და ბარანა. ზანგეზურში კი სომხებდასცემიან მაჰმადიან სოფლებს და სულ ერთიანად აუწიოკებიათ. გადარჩენილი თათრები გაქცეულან სპარსეთში. სპარსელები კი დახმარების მაგივრად ადერბეიჯანელების თათრებს სძარცავენ. ნახიჩევანის მაზრაშიაც დიდი მღელვარეებაა.

**დაღესტანი.**

„გოლოს როსიის“ გადმოცემით პეტროვსკში ჩასულა მატარებელი, რომელსაც ჩაუყვანია საბჭოთა კომისრები. ყველა კომისრები მაჰმადიანები ყოფილან. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ საბჭოთა რუსეთის გამოლაშქრების ხმები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მტკნარი სიცრუვე ყოფილა. პიროიქით ახლო მომავალში მოელიან საბჭოთა რუსეთის საზავო მოლაპარაკების დაწყებას აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან.

მანასსკის ხიდი დარუბანდის და პეტროვსკის შორის შეკეთებულია. საბჭოთა რუსეთის ინჟინერები ასწორებენ იალამას და დარუბანდის გზებს.

**ტრაპეზუნი.**

ტრაპეზუნიდან ჩამოსულები გადმოქვცემენ, რომ იქ აგიტაცია ყოფილა გაჩაღებული სომხების და ბერძნების წინაამდეგ. ამერიკის წარმომადგენელთა წყალობით სომხები და და ბერძნები გადარჩენ დარბევას.

# მუნიციპალური ცხოვრება

**ლანჩხუთის ქალაქის საბჭოში.**

წესდების თანახმად მოხდა საბჭოს პრეზიდიუმის არჩევნები. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კოლია წილოსანი, თავმჯდომარის ამხანაგად ლადიკო წულაძე.

მიეცეს თვიურად ბუღალტერს 3000 მან., რეგისტრატორს 1920 მან., მანქანაზე მომუშავეს 1600 მან., ქალაქის ტეხნიკოსს 3275 მან., ქალაქის აგენტს 2160 მან., დამტარებელს 1920 მან., კაპელმეისტერს 3000 მან.,

სამკითხველოს მეთვალყურეს 900 მან., მეურმეს 1600 მან., სასურსათო განყოფილების გამგეს 960 მან., ვეტერინ. ექიმს 960 მან., ექიმის თანაშემწეს 640 მან., აბანოს გამგეს 640 მ., აბანოს მუშას 640 მან., ელექტ. სადგურის სამეურნეო ნაწ. გამგეს ჟორდანიას 1920 მან., მეხანიკს 5850 მან., მანტიორს 5200 მან., მუშებს თვითეულს 3000 მან., ქალაქის მოურავს 6300 მ., ქალაქის მოურავის მოადგილეს 5200 მან. გამგეობის წევრს 4550 მან., მდივანს 3900 მან.

მუსიკით სარგებლობისათვის გადიდდეს ნიხრი შემდეგნაირად (600 მ.) დამარხვაზე ქალაქში 690 მან., ჯუნჯუათში 600 მან., შუხუთში 1000 მან., სალამოზე ქალაქში 2000 მან., ქალაქ გარეთ შუხუთში 2500 მან., სხვა ქალაქებში 4000 მან., სოფელში 3000 მან.

— დამტკიცებულ იქნას შემდეგი ნიხრი ეტლზე: შუა ქალაქში 30 მან., იქით-აქეთ ექიმთან 40 მან., შუა ბაზარში 50 მ., იქით-აქეთ ექიმთან 70 მან., გარე ხაზში 60 მან. იქით-აქეთ 80 მან., იქით-აქეთ კერძო ოჯახში ორკეცი, სადგურზე მისვლა-მოსვლა 20 პროც. მეტი. ნიგოითში 400 მან. უკან დაბ. 500 მან., გათხრილის ძირამდე 200 მ., დაბ. 350 მან., შუხუთიდან 150 მან., დაბრ. 250 მან., ჩიბათში ერისტო გოგიჩაიშვილის კარამდე 150 მან., დაბრ. 250 მან., გომახურში თემის გამგეობ. 200 მან., დაბრ. 350 მ.

— მიღებულ იქნას უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის შემდეგი ხარჯთ-აღრიცხვა: ოთხი ძირითადი კლასების შესანახი ხარჯების 25 პროც. დასაფარავად ქალაქის მიერ დადებულ იქნას 1865 მან., რაც შეეხება დეკრეტების მიერ გამოწვეულ ზედმეტ ხარჯებს შუამდგომლობა იქნას აღძრული სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე, რათა ის სავსებით დაფარულ იქნას ხაზინის საშუალებიდან.

3 პარალელური კლასების ძირითადი ჯამაგირებისათვის გადადებულ იქნას 54260 მან. იანვრის და თებერვლის პარალელური კლასების მასწავლებლებს თანახმად დეკრეტებისა მივცეთ 28055 მ., მასწ. შენახვა: გათბობა, განათება და სხვა და სხვა 35000 მან., დარაჯს მე-3 პარალელურ კლასებისათვის 4500 მან., სასწავლების და ფეხის ადგილის რემონტის შესახებ ყოველ ასეთ შემთხვევისთვის ტეხნიკის მიერ შედგენილ იქნას ხარჯთ-აღრიცხვა ყოველ შემთხვევისათვის გადადებული იქნა 14000 მან., მოულოდნელ ხარჯებისათვის 6080 მან., პროცენტები 7 პროც. ხარჯებისათვის 8400 მან., გასავალი 168930 მ.

შემოსავალი პირველ იანვრის 1920 წლის სალაროში დარჩენილია თანხა 13870 მან. სწავლის ფულად შემოსავალი 120000 მან., სულ 133870 მან.

აღძრულ იქნას შუამდგომლობა სახ. განათლების სამინისტროს წინაშე, რათა 28055 მან. იანვრის და თებერვლის ჯამაგირები თანახმად დეკრეტისა გადადებულ იქნას ხაზინიდან.

— ბუჰლალტრის თანაშემწის მოწვევის შესახებ, დადგენილ იქნა: მოწვეულ იქნას ბუჰლალტრის თანაშემწე 1500 მანეთის სასყიდლით თვეში.

— აღძრულ იქნას შუამდგომლობა გზათა სამართველოს წინაშე, რომ შემოღებულ იქნას გადასახადი იმ გასაყიდელ საქონელზე, რომელიც გადის სამგზავრო მატარებლით.

— სანიტარულ გადასახადის შემოტანის ვადა გადიდებულ იქნას ამა წლის 15 აპრილამდე, შემდეგ კი მათ წინააღმდეგ, ვინც არ გადიხდის შეწერილ გადასახადს 50 პროც. მიმატებით იქნას მიღებული ზომები იძულებით გადახდევინებისა.

## მიმართვა სახელმძღვანელოების ავტორებისა და გამომცემლებისადმი.

რადგანაც ცენტრალურ პედაგოგიურ მუზეუმს მიზნათა აქვს, თავი მოუყაროს სკოლაში და სკოლის გარეშე სახმარებელ გამოცემებს და მოაწყოს მათი მუდმივი გამოფენა, ამიტომ მივმართავ სახელმძღვანელოების ავტორებს და გამომცემლებს თხოვნით, რომ თითო ან ორ-ორი ცალი თავიანთი გამოცემებისა დაუთმონ მუზეუმის ბიბლიოთეკას.

მუზეუმის დირექტორი:

პროფ. **ალ. ჯავახიშვილი.**

## რკინის გზაზე

**საჭიროა მატარებლის დანიშვნა.**

ხაშურსა და ქუთაისს შუა საჭიროა დაინიშნოს ადგილობრივი მატარებლები. ასეთი მატარებელი ხაშურიდან უნდა წავიდეს ქუთაისისაკენ 5—$5\frac{1}{2}$ საათზე და ქუთაისიდან გამობრუნდეს 15—16 საათზე, რომ მგზავრს შეეძლოს დილით ჩავიდეს ზესტაფონსა და ქუთაისში და საღამოს შინვე დაბრუნდეს. ადგილობრივ მატარებლებად შეიძლება გამოყენებულ იქნან მატარებლები №№ 9 და 12, თუ № 12 ქუთაისიდან წავა ზემოაღნიშნულ დროზე.

**თ. მანჯავიძე.**

## სხვა და სხვა

✦ შემოწირულება, რომელიც წარდგენილია განათლების სამინისტროს კანცელარიაში „გორის ფონდის" სასარგებლოდ: ტფ. ვაჟთა მე-3 გიმნაზიისაგან 4.455 მან., იქიდანვე 19.694 მ., ტფ. ქალთა მე-4 გიმნაზიისაგან 1.864 მ. 82 კ., ტფ. ქალთა მე-3 გიმნ. 24.014 მ. 50 კ., ტფ. ვაჟთა მე-6 გიმნ. 2 ათას 268 მ., იქიდანვე—9.911 მ. 66 კ., ტფ. ქალთა მე-6 გიმნ. 4.500 მ., ტფ. ქალთა პირველ გიმნ. 16.673 მ., იქიდანვე 3.093 მან., იქიდანვე—6.330 მ., ტფ. ქალთა მე-7 გიმნ. 13.000 მ. 50 კ., იქიდანვე—1.670 მ., იქიდანვე—378 მ. 50 კ., ტფ. ვაჟთა პირველი გიმნ. 15.182 მან., ტფ. ვაჟთა მე-2 გიმნ.—7.517 მ. 50 კაპ., ტფ. ქალთა მე-5. გიმნ.—17 ათას 667 მ., ტფ. საშუალო ტეხნეკ. სასწავლებლისაგან 1.035 მ., ტფ. ქალთა მე-2 გიმნაზ. 14.507 მ. 50 კ., ტფ. ვაჟთა მე-4 გიმნ. 15.137 მ. 50 კ., ტფ. პირველი კომერციული სასწავლებლიდან 4.927 მ., ოჩემჩირის გიმნაზ. ფოსტით 14.000 მ., ტფ. ვაჟთა მე-5 გიმნაზ. 4.078 მ., იქიდანვე 2.975 მან., ტფ. ქალთა მე-4 გიმნ. 4.300 მ., იქიდანვე 855 მ., ტფ. მამადავითის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლისაგან 8.562 მ. 88 კ., ტფ. საპედაგოგიო ინსტიტუტისაგან 1.715 მ., ტფ. სამიწათ. მზომელო სასწავლ. 1.284 მ. 5 კ., სახალხო განათლ. სამინ. კანც. მოსამსახ. 8.000 მან., სახელმწ. უნივერსიტეტისაგან 93.842 მ. 50 კაპ., ტფ. ქალთა საოსტატო სემინარიისაგან 15.730 მ., ტანთვარჯიშობის საზ. „შევარდენის" საბჭოსაგან 6.500 მ., ტფ. რეალურ სასწავლებლისაგან 9.546 მ., დელენის (არარატის რესპუბ.) გიმნ. 2.140 მან.

✦ ქალაქის მთავარ ინჟინერად ასახელებენ ინჟინერ მამრაძეს.

✦ ქალაქის საბჭოს წევრმა ბესელიძემ უარი განაცხადა საამშენებლო განყოფილების გამგებლობაზე. მის მაგივრად ამ განყოფილებას ქალაქის მოურავი უხელმძღვანელებს.

✦ შემუშავდა წყალ-სადენის ახალი პროექტი. მთავარი დებულება მოწონებულ იქნა.

✦ აპრილის 17, ჭიათურაში გაემგზავრა სპეციალური კომისია 16 პირისგან შემდგარი. კომისიას მიზნად აქვს შეადგინოს პროექტი შავი ქვის ექსპორტის და ტრანსპორტის შესახებ. კომისია გამოიმუშავებს ყველა იმ საკითხებს, რომელიც შეეხება შავი ქვის გადატანის საქმეს. ამ ჟამად ყოველდღე ჭიათურიდან ეზიდებიან ფოთში 18000 ტონს შავ ქვას. ფოთში სდგას ოთხი გემი, რომელზედაც დაიტვირთება 18000 ტონი შავი ქვა.

✦ სოხუმის ოლქის სასამართლოს 1920 წ. 3 აპრილის დადგენილებით სისხლის სამართლის განყოფილების ადგილობრივ ფარული სესიები დანიშნულ არიან გუდაუთში ამა წლის 28-29 აპრილს და ოჩემჩირეში 5-6 მაისს.

✦ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება რესტორან-კლუბების ღამის 11 საათზედ დახურვის შესახებ ძალაში შევიდა არა ორშაბათს 19 აპრილს როგორც ეს გაზეთებში იყო გამოცხადებული, არამედ შაბათს აპრილის 17-ს.

✦ ტფილისის ყველა რესტორანების ოფიციანტებმა—მოსამსახურეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროში პროფესიონალურ საბჭოს დახმარებით შეიტანეს პეტიცია, რათა რესტორან კლუბები ადრე არ დაიხურონ, რადგან მათ ხელფასი მეტად შემოაკლდებათ, რაიც გამოიწვევს დიდ ნივთიერ გაჭირვებას.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნ. „ჯეჯილი"-ს № 2; ჟურნალი ჩვეულებრივად შინაარსიანია: მოთავსებულია მრავალი საბავშვო ლექსები და მოთხრობები.

✦ ამა წლის 1 აპრილიდან ქალაქ ახალქალაქის, კარძახის და ახალციხის შორის გაიხსნა საქალაქთაშორისო ტელეფონის კავშირი. ტელეფონით მოლაპარაკება სწარმოებს მხოლოდ ამ სამ პუნქტების შორის.

✦ დღეს ს. ს. არსებ. ქართულ. წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად სახალხო სცენაზე „ნილაბ-ქვეშ" დრამა 3 მოქ. გერგესელისა. ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

✦ გამოვიდა ჟურნ. „განათლება" № 2. (თებერვლის) ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1. მეცნიერება და ფილოსოფია, პროფ. შ. ნუცუბიძისა, 2. საქართველოს სკოლის სისტემის რეორგანიზაციის საკითხი, ს. დანელიასი, 3. ძველ და ახალ მწერალთა და გამოჩენილ პედაგოგთა აზრი აღზრდის შესახებ; 4. ბიბლიოგრაფია: ტფ. უნივერ. მოამბე, წ. 1 ს. დანელიასი, 5. სრულიად საქართ. მასწ. დელეგატების პირველი ყრილობა (გაგრძელება), 6. მოწერილი ამბები, 7. ქრონიკა, 8. ოფიციალი განყოფილება სასწ. კომიტეტის სხდომის ოქმი.

## სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს 1920 წლ. აპრილის 19 სხდომაზე დანიშნულ საქმეთა ნუსხა.

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1. საქმე ნესტორ ფირცხელაიშვილისა, ვიქტორ არსენიძისა და ვერა კასაშვილის მიმართ ბინის დაცლისა და ბინის ქირის გადახდის თაობაზე;

2. საქმე არჩილ ბლიაძისა კონსტანტინე და მიხეილ გაბაშვილების მიმართ ბინიდან გაძევების შესასებ;

3. საქმე კიმოთე კამენსკისა პეტრე ბრაჟნიკოვის მიმართ ბინის დაცლის თაობაზე.

4. საქმე ვასილ ბრეგვაძისა ვანო ალავერდოვის მიმართ 4000 მანეთის თაობაზე;

აპრილის 23-ს.

1) საქმე პეტროგრადის სპილენძის გასაპრტყელებელი ქარხნის საზოგადოებისა არშაკ ავეტის ძე ტერ-აბრამოვთან 8000 მან. თაობაზე;

2. საქმე ნიკოლოზ გრიგორის ძის მჭედლოვის ელისაბედ გრიგოლის ასულ მჭედლოვისა მართა იოსების ასული მშედლოვისას ანდერძის წერილის თაობაზე.

3. საქმე ევგენი რაფაელის ძის ჭილაძისა სიმონ დარისპანის ძე აბულაძესთან 27000 მან. თაობაზე;

4. საქმე ევგენი რაფაელის ძის ჭილაძის სიმონ დარისპანის ძე აბულაძესთან 27000 მან. თაობაზე;

აპრილის 28-ს.

1. საჩივარი სახაზინო (საქართველოს) რკინის გზათა სამმართველოს რწმუნებულის ნაფ. ვექილის ზუბალაშვილისა ქუთაისის ოლქის სასამართლოს საადმ. განყოფილების 1919 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებაზე, რომლითაც დატოვებულია უშედეგოთ საქართველოს სახაზინო რკინის გზათა სამმართვ. საჩივარი შესახებ შეფასებითი გადასახადზე.

2. საჩივარი ქალაქ ტფილისის გამგეობისა ტფილისის ოლქის სასამართლოს საადმ. განყ. 1919 წლის 13 სექტემბრის დადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ქალაქ ტფილისის გამგეობის 1919 წლის 15 აგვისტოს დადგენილება—ზლატოგორსკის ბინის რეკვიზიციის შესახებ;

3. საჩივარი მეტეხის ციხის პატიმარის ზაქარია ილიას ძე ფალავანდიშვილისა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაზე;

4. საჩივარი მიხნო და ერპუი ანანოვების რწმუნებულის ნაფ. ვექ. კვირკველიასი ქუთაისის ოლქის სასამართლოს საადმ. განყოფილების 1919 წლის 30 ივლისის დადგენილებაზე, რომლითაც მოსპობილი იქმნა საქმის წარმოება მომჩივან ანანოვებისა „ვარდციხის" მამულის მიმღებ საგანგებო კომისიის 1918 წლის 12 დეკემბრის დადგენილებაზე შესახებ მათი მამულისა.

## ბიულეტენი საქარ. ფიზ. ობსერვატორიის

**ტფილისი, 18 აპრილი 1920 წ.**

**ნაშუად. 1 საათ.** ჰაერის წოლა მმ.: 727.8; ჰაერის ტემპერატ.: 19.1; შეფარდებ. სინოტ. %: 36; მოღრუბლ.: 9: ქარი: SE 4; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 32.4; ბუნებრივ.: 39.0.

**საღამ. 9 საათ.:** ჰაერის წოლა მმ.: 727.5; ჰაერის ტემპერ.: 12.0; შეფარდებ. სინოტ. %: 73; მოღრუბლ.: 0; ქარი: SW 2; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ. მოშიშვლებ.: 11.8; —ბუნებრივ.: 8.0 ჰაერის საშუალო ტემპერატ. 18 აპრილი: 14.2; ნორმალი: 11.5; მაქსიმალი: 19.5; მინიმალი: 10.5.

**დილ. 7 საათ. 19 აპრილი.** ჰაერის წოლა მმ.: 726.0; ჰაერის ტემპერ. 9.5; შეფარდებ. სინოტივ. %: 83; მოღრუბლ.: 10; ქარი: SW 1; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 12.4; ბუნებრივ.: 12.9; ატმოსფერის ნალექი.: მმ.: —; შენიშვნა:— ნამი ღამ., დილ

**დილ. 7 საათ. 18 აპრილი 1920 წ.**

| დაკვირვების ადგილი | ჰაერის ტემპერ. | მინიმალ. ტემპერ. | ნალექი მმ. | ქარი | ძლიერი ღრუბლ. |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილ. [1] | 11.5 | 11 | 5 | N 1 | — |
| ბორჯომი [2] | 7.2 | 6 | 2 | — | — |
| ფოთი [3] | 11.1 | 10 | 1 | SW 3 | 1 |
| სოხუმი | 11.2 | 10 | — | 0 | 1 |
| გაგრი | 14.8 | 11 | — | — | 1 |

შენიშვნა: [1] წვიმა დილ. დღით.; [2] წვიმა დღით; [3] წვიმა ღამ., ნამი დილ.


## განცხადებანი

დაიკრგა ფეხსაცმელების წმენდის ნებართვა მიცემული ტფ. ქალაქის გამგეობისაგან ბაბოილიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 693 3—1

დაკარგულია პასპორტი და ბათუმში მგზავრობის ნებართვა, სარქის იაგორის ძე ანტონიანცის სახელზე, მიღებული სომხეთის წარმომადგენელისაგან ბათუმში. გაუქმებულათ ჩაითვალოს 695 3—1

დაიკარგა ნიკოლოზ გიორგის ძე ქუჩუკაშვილის, გრეჩენი შესახვევში № 14 მდებარე, სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 696 3—1

დაიკარგა სალექციო წიგნაკი ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტიდან მიღებული ნადეჟდა სერგის ასული ჭიჭინაძისა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 697 3—1

დაკარგულია უვადო პასპორტი № 489 მიღებული ქ. კანლოვის 1 კომისარიატიდან 1918 წ. 1 თებერვალს და მოწმობა იურიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ოთხი კურსის დამთავრების № 4562 ალექსი ფედოტის ძე ორლოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 698 3—1

დაკარგულია კონსტანტინე ჩარკვიანის, ელიაროვის ქუჩაზე № 7, მდებარე სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 700 3—1

დაიკარგა ერთი სულის სასურსათო წიგნაკი № 357, ანასტასია გოგიჩევას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 705 3—1

დაიკარგა ქუჩაზე ხილით ვაჭრობის ნებართვა, ქიარიმ მაღმედ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის თვითმართველობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 707 3—1

დაიკარგა არტელშჩიკის მოწმობა იოსებ მიხეილის ძე სარქისოვის სახელზე, მიღებული საავაციო გუნდიდან და სამი კვიტანცია, მიღებული სამხედრო სამინისტროს სასურსათო საწყობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 710 3—1

დაიკარგა პასპორტი დავით მარკოზის ძე კასრაშვილის სახელზე, მიღებული ტყიბულის კომისრისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 701 3—1

დაიკარგა ოთხი სულის სასურსათო წიგნაკი № 11725 პლატონ დავითის ძე გურგენიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 702 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სიმონ მიკირტას ძე ეგიკოვის სახელზე, მიღებული ტფ. არსენალიდან და საქ. სოც.-დემ. პარტიის წევრობის მოწმობა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 703 3—1

ტფილისის მე-10 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ (მცხოვრებ ქ. ტფილისში) ანნა ალექსის ასული ერემეევის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ანნა ალექსის ასული ერემეევის ქონებაზე 1241 მუხლ. სამოქ. კან ტ. X ნაწ. აღნიშნულ ვადაში. 451 1—1

დაიკარგა პასპორტი № 300 აკაკი ამაშუკელის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 712 3—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვარელის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის სოფელ ყვარელში, თელავის მაზრაში მცხოვრების ალექსი ხვთისავარის ძე წიწრიაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება წიწრიაშვილის ქონებაზე თანახმათ 1401 სამოქ. საქ. წესდ. მუხ. და 1239 და 1241 სამ. კან. X ტ. I ნაწ. მუხ. 424 3—1

ყვარელის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის სოფელ ყვარელში, თელავის მაზრაში, მცხოვრების ლევან სვიმონის ძე მაისურაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მაისურაძის შემდეგ დარჩენილ უძრავ-მოძრავი ქონებაზე, თანახმათ 1401 სამოქ. საქ. წესდ. მუხ. და 1239 და 1241 სამოქ. კან. X ტ. I ნაწ. მუხ. 425 1—1

აფხაზეთის უბნის მომრიგებელი მოსამართლე ექვსი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა, იწვევს გარდაცვალებულ ნიკოლოზ და პელაგია ბელიაევების მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ბელიაევების ქონებაზე. 107 1—1

ალბულალის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულს დაბა თეთრი წყაროში მცხოვ. მიხეილ ფეოდორის ძე ბატურინის მემკვიდრეთ, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლებები განსვენებულის ქონებაზე მე-10 ტ. I ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 393 3—1

ქ. ტფილ. მესამე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გორდეი და ლევ ალექსანდრეს ძეთ გოლუბკინებს ან მათ რწმუნებულებს საჩივარზედ შემოტანილს მათზედ ლეონიდ ალექსანდრეს ძე გოლუბკინის რწმუნებულის ნაფიცი ვექილის ივანე გრიგოლის ძე მალალოვის მიერ, შესახებ 3000 მანეთის ანდერძით გარდაცვალებული თეკლე ეგნატეს ასული გოლუბკინის, ამასთანავე აფრხილებს თუ თითონ არ გამოცხადდებიან ან არ წარმოადგენენ წერილობითი განცხადებას, თანახმად მომჩივნის თხოვნისა, საქმის გარჩევა დაინიშნება და გამოტანილი იქნება თანდაუსწრებელი განაჩენი. ძიების თხოვნასთან ერთად წარმოდგენილია: ნდობის ქაღალდი და ასლი ანდერძის ქაღალდისა. 590 3—1

ტფილისის მე-22 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 14 ივლისში 1913 წ. გარდაცვალებულ ნატალია მიტროფონის ასულის სტეფანოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სტეფანოვის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 538 4—1

ტფილისის მე-22 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 22 დეკემბრის 1918 წ. გარდაცვალებულ ივანე სტეფანეს ძეს ვარტაზარიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ვარტაზარიანცის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 541 4—1

ქ. ტფილისის მე-7-დე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ კეკელა გრიგოლის ასულის ტერ-ოსკანოვის მემკვიდრეებს, რათა გამოაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ქონებაზე 1241 მუხ. სამ. კან. აღნიშნულ ვადაში. 566 1—1

ტფილისის მე-XXI უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმად თავისი 22 მარტის დადგენილებისა, იწვევს ვართან თოროსას ძე აკოფიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება აკოფიანცის ქონებაზე, დადგენილ 1241 მუხლის ძალით. (X ტ. ნაწ. I). 557 1—1

საჩხერის უბნის მომრიგებელი სოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ მცხოვრებ სოფელ ღონაში, შორაპნის მაზრისა, კვირია პეტრეს ძე ნამგლაძისას, რათა მათ უფლება განაცხადონ გარდაცვალებულის ქონებაზე, 1241 მუხ. სამოქ. კან. ტ. X ნაწ. I აღნიშნულ ვადაში. 272 1—1

ქ. ტფილისის მე-16 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იბარებს გარდაცვალებულ მელანია გიორგის ასულის ბარტყულაშვილის მემკვიდრეებს, წარმოსადგენათ თავიანთ უფლებისა ვადაზედ თანახმად 1241 მუხ. ძალ. 1 ნაწ. მეათე ტ. (კრებ. სამოქ. საქ. გამოც. 1887 წ.) 491 1—1

დაკარგულია პასპორტი ჰაიკ ჩარჩიანცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 699 3—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს ბოქაული მ. ბეჩკროვნი, აცხადებს, რომ 15 მაისს 1920 წ. დილის 10 საათზე იმავე სასამართლოში დანიშნულია მის მიერ საჯარო ვაჭრობა უძრავ მამულზე, რომელიც ეკუთვნის მარტინა კარლოს ძე კალვეიტს, და მდებარეობს, წმ. დავითის მთაზე. მამული შეიცავს მიწის ნაჭერს, ზომით 1256,34 ოთხკ. საჟ., საზღვრებში: ჩრ. დას. ამორჩეული ახალი გზა სამხ. და აღმ. მიწის ნაჭრები რობი და აივაზოვისა; მამული იყიდება ტფილისის ქალაქის სამმართველოს ვალში საგირაო ქაღალდის და აღმასრულებელი ფურცლის ძალით 800 მანეთში სარგებლით და ხარჯით 43 მან. 33 კაპ. ეს მიწის ნაჭერი შეფასებულია 900 მანეთად, მაგრამ 1182 მუხ. ძალით სამ. სას. წესდ., ვაჭრობა შეიძლება დაიწყოს უფრო მცირე რიცხვიდან. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად უნდა იქმნას წარდგენილი ერთი მეათედი შეფასებისა. მამულის აღწერის სია და სხვა ქაღალდების დათვალიერება შეიძლება ყოველ დღე სასამართლოს კანცელარიაში. 626 1—1

სამხედრო სამინისტროს სტამბა აცხადებს. რომ მან დაჰკარგა მდგმურების ჩასაწერი წიგნი 1919 წ. ლორის მელიქოვის ქუჩაზე № 3 სახლში." 706 1—1

ქალ. ტფილისის მე-5 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებული ტფილისის მოქალაქის ავეტიკ არტემის ძის ბაინდუროვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ქონებაზე მე-X ტ. 1 ნაწ. 1241 მუხლში აღნუშვადაში. 253 1—1

დაიკარგა მაზუთის ქუჩაზე № 4 მდებარე რიკიტაშვილის სახლის დავთარი, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 722 3—3

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად სიმონ ესტატეს ძე ცერცვაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს უვადო ბაშფორთი, მიცემული 1903 წ. ქუთაისის მეშჩანების მამასახლისიდგან, გეგმა ორი დუქნისა მდებარე ქ. ზესტაფონში, გეგმები იყო დამტკიცებული ქუთაისის გუბერნიის კომისიიდგან, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთები წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. 407 3—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველ. თანახმად ოლღა ლუარსაბის ასული თევდორაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარკავს ქუთაისის საეპარქიო სასწავლებლის დასრულების მოწმობა, რომელიც მას ჰქონია მიღებული 1913 წელს სექტემბერში სთხოვს მპოვნელს აღნიშნული მოწმობა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. 391 3—1

ქ. ტფილისის მე-14 და 15 სამომ. უბნის სასამართლოს ბოქაული ა. ა. გეგეჭკორი ამით აცხადეას, რომ 8 აპრილს 1920 წ. დილის 10 საათზე ის საჯარო ვაჭრობით გაყიდის სასამართლო ეზოში ტურგენევის ქუჩაზე, № 4, გიორგი გიგინოვის მოძრავ ქონებას—ორ საკერავ მანქანას ოგანეს ასტვაცატუროვის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად ქ. ტფილისის მე-14 უბნის მომრიგებელ მოსამართლისაგან 20 მარტს 1920 წ. თარიღით, № 127, მიცემულ აღმასრულებელი ფურცლის ძალით. ეს ორი მანქანი შეფასებულია 1000 მან. 588 1—1

მომრიგებელი მოსამართლე 2 უბნისა ქ. ტფილისისა იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებული გრიგოლი ილარიონის ძის გველიშვილისა, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება გარდაცვალებულის ქონებაზე იმ ვადაში, რომელიც არის გათვალისწინებული 1241 მუხლში X ტომ 1 ნაწ. სამოქალაქო კანონებისა. 635 1—1

1920 წელს მარტის 18 დღესა ქ. ტფილისის მე-8 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ ქ. ტფილისის მოქალაქე ივანე ბეჟანის ძე მამულოვის ქონებაზე, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სამ. კან. კრებ. X ტომ. I ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 509 1—1

მომრიგებელი მოსამართლე 2 უბნისა ქ. ტფილისისა იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებული ივანე მათეს ძის გორტინსკისა, რათა მათ განაცხიდონ თავიანთი უფლება გარდაცვალებულის ქონებაზე იმ ვადაში, რომელიც არის გათვალიწინებული 1241 მუხლში X ტ. I ნაწილ. სამოქალაქო კანონებისა. 584 1—1

ტფილისისის სამიტროპოლიტო სასამართლოში პავლე დანიუკოვმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ლიუდმილა ფილიპეს ასული, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1910 წლ. უკვალოდ დაიკარგა 1910 წელს რის გამო აღნიშნული პავლე დანიუკოვი თხოულობს ცოლისაგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ ლიუდმილა ფილიპეს ასული დანიუკოვისა მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემო ხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 659 3—3

დაიკარგა პასპორტი ანა დიმიტრის ასული ჩისტიაკოვას სახელზე, მიღებული მესამე კავკასიის კორპუსის შტაბიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 708 3—3

დაკარგულია პასპორტი ერვანდ ალექს. გუკასოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 552 3—3

დაიკარგა სამი სულის სასურსათო წიგნაკი № 5106 ანასტასია სიმონის ასული გოგიჩაიშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 704 3—3

ენოკ აკოპოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ითვლება. 694 3—2

დაიკარგა პასპორტი სერგეი ალექსის ძე როდინის სახელზე, მიღებული რუსების ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ) 3—1

დაიკარგა პასპორტი მარია ლავრენტის ასული დოლინას სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ.) 3—1

დაიკარგა პასპორტი № 987, მიღებული თელავის თვითმართველობიდან გიორგი ივანეს ძე ასბეგაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 654 3—3

თამარა ილიას ასული იმერლიშვილისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი 7 კლ. № 47 და 8 კლ. მოწმობა № 100 მიღებული 1916 წ. თელავის ქ. წმ. ნინოს სასწავლებლიდან. მოწმობები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 692 3—2

დაკარგულია სამხედრო ბეგრისაგან თავისუფლების მოწმობა, გაცემული ქუთ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ვასილი გრიგოლის ძე ისაკაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 658 3—3

გერონტი ივლიანეს-ძე იმედაიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ქუთაისის სამხედრო უფროსის სამმართველოდან № 3—1919 წ. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს. 301 3—1

დაკარგულია შვიდი სულის სასურსათო წიგნაკი № 22325 და პირადობის მოწმობა სურენ არმენაკის ძე დაშტოიანცის სახელზე, მიღებული ქალაქის თვითმართველობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 689 3—3

დაკარგულია პასპორტი გრიგოლ ოგანეზის ძე ბარსაგიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 686 3—3

იაკოფ სერგის ძე ბაშენკო აცხადებს; რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან 1919 წ. ნოემბერში, მოწმობა მიღებული რუსების ნაციონალურ საბჭოსაგან და ფოტოგრაფიული სურათები. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 684 3—3

კერძო ვექილმა პავლე გოჯასპირის ძე ლორთქიფანიძემ დაჰკარგა: 1) ძიებითი თხოვნა საწირის მომხმარებელი საზოგადოების კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე მაქსიმე კუბლაშვილის და წევრის გერმანე ცირეკიძის ქუთაისის ოლქის სასამართლოს სახელზედ, რომლითაც ისინი ეძიებდენ ანტონ ცირეკიძესაგან ოცდა ექვსი ათას და რამოდენიმე მანეთს შინაური ხელ-წერილის ძალით, ჩამორთმეულის უკანასკნელისაგან ადგილობრივი კომისრის მიერ 1919 წელში, 2) ასლი იმავე თხოვნისა, 3) ზემო მოხსენებული ხელ-წერილი თავისი ასლით, 4) ქუთაისის ხაზინის კვიტანცია ხუთას რამოდენიმე მანეთის სასამართლოს და სხვა ხარჯების გარდახდისა კუბლაშვილის და ცირეკიძის მიერ შესახებ მოხსენებული მათი ძიებისა და 5) აბდალაძის აპელაციური საჩივრის ასლი, შესახებ გზის ძიებისა მისგან ბიქტორ აბრამის მიერ, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 292 3—2

ილარიონ ქუჩუას ძე გაბუნიამ დაჰკარგა სოფ. საბუმში დუქნის ნასყიდობის მოწმობა, მალხაზი შენგელიას მიერ ხელ მოწერილი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 426 3—3

დაიკარგა კავკასიის აფთიაქის საქონლით სავაჭრო ამხანაგობის ერთი პაი № 245 გიორგი პავლეს ძე მელიქ-კარაკოზოვის კუთვნილი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 429 3—3

ქ. ტფილისის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 24 აპრილს, შაბათს დილის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართველობის შენობა, თავისუფლების მოედანზე) საჯარო ვაჭრობა ბუტკის, რომელიც მდებარეობს თავისუფლების მოედანზე მესამე უბანში, იჯარით გასაცემათ ქარვასლის წინ. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 2—3 საათზე. ქალაქის გამგეობა. 441 3—1

### ტფილისის
## ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ტფილისში მომუშავე ყველა ბებია ქალები არიან მოწვეულნი ქალაქის საბჭოს დარბაზში 22 აპრილს 1920 წ. საღამოს 6 საათზე მათზედ შეწერილ ერთდროულ სანიტარულ ეპიდემიურ გადასახადის ურთიერთ-შორის გასანაწილებლად. 436 3-3

## ბორჯომის სახელმწიფო მამულის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, აპრილის 26-ს, დღის 12 საათზე, მამულის სამმართველოს შენობაში, ბორჯომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ფოსტაზე. ფოსტასთან არის საავტომობილო გარაჟი, სამზარეულო ბინა—4 ოთახისგან და დიდი ეზო. ვაჭრობა დაიწყება 20 ათას მან. 720 3—2

# ქართული აქციონერ. საზოგადოება „ოქროს ვერძი“

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 26 მაისს, დილის 11 საათზე, ქალაქ ფოთში, საზოგადოების განყოფილების ბინაზე (ლიალინის და მიხეილის ქუჩების კუთხე. ციციაშვილების სახლი) დანიშნულია საზოგადოების აქციონერების წლიური

## ჩვეულებრივი კრება

შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. საზოგადოების დაარსების დღიდან, 1918 წლის 26 მაისიდან ამა 1920 წლის პირველ იანვრამდის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება;
2. დივიდენდის დარიგება;
3. მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა;
4. გამგეობისა, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები;
5. სხვა და სხვა კითხვები.

ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ კრებაზე დასწრების უფლება ექნება და ხმა მიეცემათ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც სახელოვანი აქციები აქვს, აგრეთვე იმ უსახელო აქციების პატრონებს, რომლებიც კრებამდის არა უგვიანეს ერთი კვირისა წარმოადგენს გამგეობაში ან მის განყოფილებაში ქ. ფოთში და კრების გათავებამდის უკან არ წაიღებს თავის უსახელო აქციებს. აქციების მაგივრად შეიძლება წარმოდგენილი იყოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რომელიმე ბანკის, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულებათა (ქალაქის გამგეობათა და ერობათა) მოწმობა აქციების გირაოთ ან შესანახად მიღებისა. ამ მოწმობებში უნდა იყოს ნაჩვენები იმ აქციების რაოდენობა, მათი ნომრები და ღირებულებანი. 724 3—1



რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჭავარიანი.